

ხისტი ლოკალური სისტემების შესახებ

გია გიორგაძე, გეგა გულაღაშვილი

მოხსენებაში განხილული იქნება ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპი, როდესაც ფიბრაცია ინდუცირებულია აქსესორული პარამეტრებისაგან თავისუფალი ფუქსის ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისაგან. ცნობილია, რომ მონოდრომის შემნახველი დეფორმაცია ასეთი სისტემისათვის იძლევა დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას აქსესორულ პარამეტრების მიმართ. როდესაც ფუქსის სისტემა დამოკიდებული არ არის აქსესორულ პარამეტრებზე, დეფორმაცია ტრივიალურია და სისტემის გლობალური მახასიათებლები, მათ შორის მონოდრომის ჯგუფი ცალსახად განისაზღვრება. უფრო მეტიც, არსებობს ურთიერთცალსახა თანადობა მონოდრომის მონაცემებსა და ფუქსის ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებს შორის. განვიხილავთ ამ ზოგადი კონსტრუქციის კერძო შემთხვევას და ვაჩვენებთ, რომ ორ და სამ განზომილებიანი ჰოლომორფული ვექტორული ფიბრაციებისათვის შესაძლებელია გახლეჩვის ტიპის გამოთვლა განტოლებათა სისტემის გლობალური ინვარიანტების საშუალებით.